



თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში

(2014-2015 სასწავლო წელი)

1. სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფა

#	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
1.1	საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა/მოდიფიცირება;	ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლის საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელები	საგანმანათლებლო პროგრამებში ახლი განმახორციელებლების და ახალი სახელმძღვანელოების ჩართვის მიზნით, ასევე სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე პროგრამების მოდიფიცირება განხორციელდა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასაწყისში (აკად. და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილებები: # 38 01.09.2014; #43 11.06.2015
1.2	ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და მისი დადგენილი წესით აკრედიტაცია	ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლის საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელები	შემუშავდა რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა : საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ და განხორციელდა პროცედურები კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცების შესახებ, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ორგანოს კონსულტაციების და მიმოწერის მიუხედავად, ვერ მოხერხდა შეთანხმება „ რუსულ ენაზე“ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ.
1.3	სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე პერმანენტული კონტროლის სრულყოფა	სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; სკოლა;	გაიზარდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის შესაძლებლობები, რამაც საშუალება მოგვცა უკეთ გავაკონტროლოთ სასწავლო პროცესი და დროულად მოვახდინოთ მასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება. კერძოდ, ადმინისტრაცია ეცნობა სკოლების მიხედვით სტუდენტთა ანკეტურ და აკადემიურ მაჩვენებლებს, სხვადასხვა ტიპის სტატისტიკურ ინფორმაციას; ახდენს სასწავლო პროცესთან და უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობებთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაციის, განცხადების/ განმარტების/ცნობის და ა.შ მიღებას;
1.4	აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის	სასწავლო და	სასწავლო წლის განმავლობაში გამოცხადდა კონკურსი

	<p>გამოცხადება და კვალიფიკაციის ამაღლება</p>	<p>ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი.</p>	<p>აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, რის შედეგად არჩეულ იქნა კვალიფიციური კადრები შემდეგი სახით: 1 პროფესორი-ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით; 1 პროფესორი-სისხლის სამართლის მიმართულებით; 3 ასოცირებული პროფესორი -ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; 2 ასოცირებული პროფესორი- საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით; 2 ასოცირებული პროფესორი -ინჟინერიის მიმართულებით; 1ასოცირებული პროფესორი-ჟურნალისტიკის მიმართულებით; 1ასოცირებული პროფესორი ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით 1ასოცირებული პროფესორი -სისხლის სამართლის მიმართულებით; 1 ასოცირებული პროფესორი - სამართლის მიმართულებით; 1ასისტენტ-პროფესორი -ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; 1 ასისტენტ პროფესორი -სოციალური მეცნიერებების მიმართულებით; 1 ასისტენტი-სამართლის მიმართულებით 1 ასისტენტი-ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;</p>
<p>1.5</p>	<p>სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება</p>	<p>სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;</p>	<p>გაიზარდა „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის შესაძლებლობები. დაემატა ე. წ. „ჩათის“ მოდული და შესაძლებელი გახდა : ინტერაქცია (ადმინისტრაციას, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის); ინფორმაციის გავრცელება; online რეჟიმში შეუზღუდავი ურთიერთობა; სასწავლო რესურსებს დაემატა 2 პროექტორი.</p>
<p>1.6</p>	<p>ინგლისური ენის, როგორც უნივერსალური საკომუნიკაციო და სამეცნიერო ენის სწავლების ხარისხის ამაღლება</p>	<p>ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლა;</p>	<p>დაიხვეწა სწავლების მეთოდოლოგია, უნივერსიტეტის პროფესორების მიერ მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევა: თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის</p>

		<p>სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;</p>	<p>სწავლებაში“ რომლის შედეგების გათვალისწინებაც მოხდება ენის სწავლებაში.</p>
<p>1.7</p>	<p>თანამედროვე მოთხოვნების პროგრესული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, სტუდენტთა მობილობის, პროფესიული პრაქტიკის გავლისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საქართველოს ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან და დამსაქმებლებთან საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან</p>	<p>სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი.</p>	<p>გამყარდა ურთიერთობა საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან (საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან). გაფორმდა ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ კერძო ორგანიზაციებთან: სს „საქართველოს ბანკი“ ააიპ-„ახალგაზრდობის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი“ საერთაშორისო და საჯარო ორგანიზაციებთან: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო; სსიპ-საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. საქართველოს და უცხოეთის ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან: აზერბაიჯანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი; ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.</p>
<p>1.8</p>	<p>ბოლონის პროცესის მონაწილე უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის პროცესის ხელშეწყობა</p>	<p>სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;</p>	<p>მიმდინარე პროცესშია.</p>

1.9	განათლების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო გამოფენაში.
1.10	აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების დასხვა ანკეტირება, შედეგების ანალიზი და სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, მათი გათვალისწინება და მონიტორინგი	ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლა; პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;	კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ტენდენციები, რომლებიც, კვლევის ჯგუფის წევრების აზრით, საჭიროებს გაუმჯობესებას/მოგვარებას: <ul style="list-style-type: none"> • ბიბლიოთეკის ელექტრონული წიგნებით უზრუნველყოფა; • ბიბლიოთეკაში გადამღები აპარატის დამატება • 75 კრედიტზე მეტი კრედიტის მოპოვების შესაძლებლობა; • გამოცდებისათვის მეტი დროის დათმობა; • სტაჟირებები სახელმწიფო დაწესებულებებში; • სამუშაო გამოცდილების პრაქტიკის კომპონენტში ჩათვლა • სწავლების ელექტრონული მეთოდების გაუმჯობესება • სტუდენტების მეტი ხელმისაწვდომობა ელექტრონულ რესურსებზე; • სტუდენტთა მეტი ჩართულობა კვლევებში
1.11	პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფად ფინანსური გეგმის განახლება	საფინანსო სამსახური	უნივერსიტეტის ბიუჯეტში გაიზარდა პროგრამების დაფინანსება.
	საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მომზადება/შეესება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა	სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	თვითშეფასების ანგარიში ცალკეულ პროგრამებზე მომზადდა პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობით და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ თვითშეფასების კითხვარის სახით დადენილ ვადებში იქნა წარდგენილი სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში

2. სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
<p>2.1 უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება</p>	<p>მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური;</p>	<p>მიმდინარეობს უნივერსიტეტის კორპუსის მშენებლობა ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. N2-ში. (თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება N1211666) შენობის საერთო ფართი მოიცავს 14 000 კვ.მ ტერიტორიას. აქედან დაახლოებით 9000 კვ.მ დაეთმობა უნივერსიტეტის სასწავლო ფართს. შენობაში განთავსდება უახლესი თაობის აპარატურა, მოწყობა კაბინეტ-ლაბორატორიები, თანამედროვედ აღიჭურვება სალექციო აუდიტორიები, გაკეთდება საკონფერენციო დარბაზები, მოწყობა სპროტული დარბაზი და ა. შ.</p>
<p>2.2 თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ვორქშოპების ოთახებისა და უცხო ენის ლინგოფონის კაბინეტის განახლება. ჟურნალისტიკისათვის მინი სტუდიის შექმნა.</p>	<p>მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური;</p>	<p>განახლდა ლინგოფონის კაბინეტი ახალი აპარატურით. მიმდინარეობს ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის სასწავლო ლაბორატორიის აღჭურვა ტექნიკით.</p>
<p>2.3 უახლესი მოდელის კომპიუტერული ტექნიკის, ასლგადამღები აპარატურის, პროექტორების, სასწავლო და საოფისე ინვენტარის შეძენა-განახლება</p>	<p>მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.</p>	<p>შეძენილ იქნა უახლესი მოდელის კომპიუტერული ტექნიკა (5 ერთეული), ასლგადამღები აპარატურა, 2 პროექტორი, განახლდა სასწავლო და საოფისე ინვენტარი.</p>
<p>2.4 ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების ფონდის გამდიდრება/შევსება.</p>	<p>სკოლა; ბიბლიოთეკა; სასწავლო და</p>	<p>მოდიფიცირებული სილაბუსების მიხედვით, მოპოვებული იქნა ახალი ლიტერატურა- მატერიალური და ელექტრონული სახით.</p>

2.5	სამკითხველო დარბაზის დამატებითი ტექნიკით უზრუნველყოფა; სხვა ბიბლიოთეკებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ახალი, გადამუშავებული სილაბუსებით დადგენილი ძირითადი ლიტერატურის შექმნა	ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	სამკითხველო დარბაზი აღიჭურვა დამატებითი კომპიუტერით, პრინტერით და ასლგადამღები აპარატურით. მოპოვებული იქნა ახალი რესურსები საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების მიხედვით, ყველა ელექტრონული მასალა განახლებული და ჩაბარებული იქნა ბიბლიოთეკისათვის.
2.6	საკონფერენციო დარბაზისა და სპორტულგამაჯანსაღებელი ფართის მოწყობა/განახლება	საფინანსო სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური.	მოეწყო დამატებითი (მცირე) საკონფერენციო დარბაზი (სამუშაო შეხვედრებისთვის). სპორტულ დარბაზში კეთილმოეწყო საშხაპე.
2.7	ვებ-გვერდის სრულყოფა და სისტემატური განახლება	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.	განხორციელდა ვებგვერდის www.openuni.edu.ge მონიტორინგი და გასწორდა შეცდომები. ვმუშაობთ ახალი ვებ გვერდის შექმნაზე. ვებგვერდზე მუშაობს სტუდენტური ფორუმი; ვებგვერდი დარეგისტრირებულია ქართული საიტების რეიტინგის top.ge სისტემაში და შესაბამისად, აღჭურვილია სტუმართა რეგისტრაციის მრიცხველით; ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.
2.8	სპეციალური საჭიროების პირებისათვის ოთახის მოწყობა/გადაიარაღება	საფინანსო სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური.	შენობის მეორე სართულზე სსსმ პირებისათვის გამოყოფილ მოსასვენებელ ოთახს დაემთა რბილი ავეჯი.
2.9	დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის თანამდეროვე ავტომატიზირებული სისტემის და სტუდენტური პორტალის გამრავალფეროვნება	სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.	სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა დაიხვეწა, დაემთა „ჩათის“ მოდული, შესაძლებელი გახდა კითხვარების განთავსება. სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება.

2.10	ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის მიმდინარეობა ქ. თბილისში (მის: უნივერსიტეტის N2)	მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე; რექტორი; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური; საფინანსო სამსახური.	აღწერა: შენობის საერთო ფართი მოიცავს 14 000 კვ.მ ტერიტორიას. აქედან დაახლოებით 9000 კვ.მ დაეთმობა უნივერსიტეტის სასწავლო ფართს. შენობაში განთავსდება უახლესი თაობის აპარატურა, მოეწყობა კაბინეტ-ლაბორატორიები, თანამედროვედ აღიჭურვება სალექციო აუდიტორიები, გაკეთდება საკონფერენციო დარბაზები, მოეწყობა სპროტული დარბაზი და ა. შ. შენობის დამთავრება იგეგმება 2015 წლის ივლის-აგვისტოში, ხოლო სარემონტო სამუშაოები დასრულდება 2016 წლის სექტემბრისთვის.
------	--	--	---

3. სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა

	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
3.1	უნივერსიტეტში სასწავლო- სამეცნიერო ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და ოლიმპიადების ჩატარება	სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ტარდები სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. 2015 წელს ჩატარდეს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია შემდეგი განრიგით: 23,24 27, აპრილი-სხდომები მიმართულებების მიხედვით; 7 მაისი დასკვნითი სხდომა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სამართლის, ჰუმანიტარული, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებმა. კონფერენციის ფარგლებში დამუშავდა შემდეგი თემები: ნათია კალმახელიძე თეონა შერვაშიძე, თემა: „სუროგაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს კანონმდებლობაში“; ნინო ქისტაური, თემა: „არასრულწლოვანი დამნაშავეს პიროვნება, არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი, რისკ-ფაქტორები, პრევენცია“ ; თამთა ბარამიძე, თემა: ოჯახური ძალადობა; ბეგლარ მახარაძე, თემა: ტრეფიკინგი; ქეთევან ჯიქია, მარიამ დანელია, თემა: -ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი როგორც დემოკრატიის ინსტრუმენტი; გვანცა ბერუაშვილი, თემა: ჩუქების ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირება;

ტალიაშვილი თამთა, სპეციალობა მარკეტინგი,
 თემა: გლობალური მარკეტინგი, მისი განვითარება და
 აუცილებლობა; ხელმძღვანელი: დალი მაგრაქველიძე
 რატინი თამთა - სპეციალობა მარკეტინგი, ჯგ.04631
 თემა: ტურიზმის ბიზნესის განვითარების დინამიკის ანალიზი
 საქართველოში
 გორდეზიანი მარიამი - სპეციალობა მარკეტინგი, ჯგ.04631
 თემა: საქართველოს სარეკლამო ბაზრის თავისებურებები;
 ხელმძღვანელი: დევი შონია
 ცირამუა ანანო - სპეციალობა ფინანსები და საბანკო საქმე,
 ხელმძღვანელი: ნინო გრიგოლაია
 თემა: ფინანსური ურთიერთობების განვითარების ტენდენციები
 საქართველოში; ხელმძღვანელი: კვარაცხელია რუსუდანი
 კოჭლაშვილი ნესტანი - სპეციალობა საერთ.ეკონ.ურთიერთობები,
 თემა: მენეჯმენტი და მეწარმეობა
 ხელმძღვანელი: ლალი ფირცხალაიშვილი
 ჯანგველაძე სალომე, ხაბეიშვილი ანა - სპეციალობა ტურიზმი
 თემა: გელათის სამონასტრო კომპლექსი; ხელმძღვანელი: ნელი
 მაღალაშვილი
 ყეინაშვილი ნინიკო - სპეციალობა ტურიზმი
 თემა: მცხეთა - ქალაქი მუზეუმი ღია ცის ქვეშ; ხელმძღვანელი:
 ნელი მაღალაშვილი
 კიკრიაშვილი თეონა - სპეციალობა ტურიზმი თემა: უშგული -
 ევროპის მაღალმთანი დასახლება; ხელმძღვანელი: ნელი
 მაღალაშვილი
 ლაზარაშვილი მარიამი, კოჩალიძე თონა - სპეციალობა ტურიზმი ,
 თემა: აჭარის ტურისტული პოტენციალი ხელმძღვანელი: ნელი
 მაღალაშვილი; ხელმძღვანელი: დევი შონია
 თეონა ტაბატაძე - სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: გაბრიელ გარსია მარკესის ლათინურ ამერიკული მარტოობა
 და მაგიური რეალიზმი; ხელმძღვანელი: კობა წურწუშია
 ელმირა გიგანი - სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: პიროვნების გაუცხოების თემა ა. კამიუს “უცხოვს”
 მიხედვით; ხელმძღვანელი: კობა წურწუშია

ჯაჭვადე მარიამი-სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: „თ. მორი მწერალი, კანცლერი, სახელმწიფო მოღვაწე და
 „უტოპია“ -ს ავტორი. ნაწარმოების ფილოსოფიური და
 პოლიტიკური ელემენტები“; ხელმძღვანელი: კობა წურწუმი
 წკრიალაშვილი სოფო - სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: „ბიბლიური და კოსმიური თემები ჯ. მილტონის
 „დაკარგული სამოთხი“-ს მიხედვით“ - ხელმძღვანელი: კობა
 წურწუმი

ჩაჩანიძე თამარ- სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: პოლისემიური სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა
 ინგლისურ ენაში ; ხელმძღვანელი: იზო ჩხობაძე

ბერელიძე სოფო- სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია თემა:
 რთული სიტყვები ინგლისურ ენაში; ხელმძღვანელი: იზო ჩხობაძე

გურგენიძე ნინო- სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: თარგმანის ექვივალენტურობის პრობლემა
 ხელმძღვანელი: სოფო მორალიშვილი

სახურია ლიკა- სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: ინგლისური ბარბარიზმები ქართულ რეკლამაში
 ხელმძღვანელი: სოფო მორალიშვილი

ქოჩორაშვილი სოფო- სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია;
 თემა: სივრცე, კულტურა და დეიქსისი; ხელმძღვანელი: სოფო
 მორალიშვილი

დალაქიშვილი თამარ- სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: ირონია თანამედროვე ინგლისურ დრამაში; ხელმძღვანელი:
 სოფიო მორალიშვილი

მეგულიშვილი ნათია -სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია;
 თემა: ანტონიმები ინგლისურ ენაში -
 ხელმძღვანელი: იზო ჩხობაძე

ლომიძე მარი - სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია
 თემა: ფარული კომპონენტების სემანტიკური ტიპები
 ხელმძღვანელი: იზოლდა ჩხობაძე

თამარ გელენავა – სპეციალობა – ქართული ფილოლოგია
 თემა: აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები; ხელმძღვანელი:
 ხატია შვეარდნაძე

ნინო მჭედლიძე - სპეციალობა – ქართული ფილოლოგია
 თემა: სიმბოლიზმი და ცისფერყანწელები ხელმძღვანელი:
 ხატიაშვერდნაძე

თათია ბედიანი - სპეციალობა – ქართული ფილოლოგია
 თემა: ამირანის მითი ქართულ ფოლკლორსა და მხატვრულ
 ლიტერატურაში; ხელმძღვანელი: ლელა ახალაია

თამთა კაპანაძე –სპეციალობა - ქართული ფილოლოგია
 თემა: გრამატიკული ცვლილებები ქართულ სასაუბრო და
 სალიტერატურო ენაში; ხელმძღვანელი: ლელა ახალაია
 სოფიო ბაქრაძე - სპეციალობა - ქართული ფილოლოგია
 თემა: კონსტანტინე ჭიჭინაძის შემოქმედებითი გზა; ხელმძღვანელი:
 ლელა ახალაია

ალა ისპირიანი - სპეციალობა - ჟურნალისტიკა
 თემა: ჟურნალისტიკის როლი საზოგადოებაში; ხელმძღვანელი:
 ნატო ონიანი

სოფიო კონჯარია - სპეციალობა – საერთაშორისო ეკონომიკური
 ურთიერთობები

თემა: დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პრაგმატიზმი;
 ხელმძღვანელი: ნოდარ სამხარაძე

ნათია ჯალიაშვილი - სპეციალობა – საერთაშორისო
 ეკონომიკური ურთიერთობები

თემა: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოღვაწეობის შეფასება
 საქართველოში; ხელმძღვანელი: ნოდარ სამხარაძე

სომხიშვილი ეკატერინე - სპეციალობა – საერთაშორისო
 ეკონომიკური ურთიერთობები

თემა: თავისუფალი ეკონომიკური ზონების პრობლემატიკა
 საქართველოში; ხელმძღვანელი: ნოდარ სამხარაძე

ნინო კარანაძე – სპეციალობა – საერთაშორისო ეკონომიკური
 ურთიერთობები

თემა: ჩინეთის ეკონომიკა და მისი ფინანსური გამოწვევები;
 ხელმძღვანელი: რუსუდან კავარაცხელია

ბაჩო ჭაფანძე; გივი ჭიხორია – სპეციალობა – საერთაშორისო
 ურთიერთობები

			<p>თემა: პატარა ქვეყანა გლობალიზაციის ეპოქაში; ხელმძღვანელი: ეპიფანე გვენეტაძე</p> <p>შალვა ქენქაძე - სპეციალობა – საერთაშორისო ურთიერთობები</p> <p>თემა: 1994 წლის 5 დეკემბრის ბუდაპეშტის მემორანდუმში უშიშროების საკითხების შესახებ; ხელმძღვანელი: ეპიფანე გვენეტაძე</p> <p>იოსებ ფარეხელაშვილი - სპეციალობა – საერთაშორისო ურთიერთობები, თემა: უკრაინის მოვლენები. ყირიმის ანექსია რუსეთის მიერ; ხელმძღვანელი: ეპიფანე გვენეტაძე</p> <p>დავით ჯინჭარაძე - სპეციალობა – საერთაშორისო ურთიერთობები</p> <p>თემა: გეოპოლიტიკური თვალთვლით დანახული ამერიკა, როგორც მსოფლიო სტრატეგიული დერჟავა; ხელმძღვანელი: მაია ამირგულაშვილი</p> <p>ცირა კონცელიძე - სპეციალობა – საერთაშორისო ურთიერთობები</p> <p>თემა: ქართულ-რუსული ურთიერთობები ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში; ხელმძღვანელი: მაია ამირგულაშვილი</p> <p>უმანგი მეტრეველი - სპეციალობა – საერთაშორისო ურთიერთობები</p> <p>თემა: მსოფლიო ახალი წესრიგი და პრეტენდენტი ჰეგემონობის; ხელმძღვანელი: ქეთი ჯიჯეიშვილი.</p>
<p>3.2</p>	<p>უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში</p>	<p>საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;</p>	<p>გაიმართა საუნივერსიტეტო საშორისო კონფერენცია რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი</p>
<p>3.3</p>	<p>მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადება და მათი წარდგენა დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად</p>	<p>სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;</p>	<p>მომზადდა საგრანტო პროექტი ერაზმუს+-ის ფარგლებში უნივერსიტეტს განაცხადი აქვს წარდგენილი ერაზმუს+-ის „ჟან მონეს“ პროექტში ჩართვაზე. ჟან მონეს მოდული წარმოადგენს მოკლე სასწავლო პროგრამას/ კურსს ევროპათმცოდნეობის მიმართულებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.</p>

3.4	აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობა კვლევებში სხვადასხვა მიმართულებით და საწიროების შემთხვევაში მათი დაფინანსება	სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	<p>უნივერსიტეტში დაგეგმილია და მიმდინარეობს შემდეგი კვლევები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დეფოლტი და მისი გამოწვევი მიზეზები კომერციულ ბანკებსა და სახელმწიფოში 2. საქართველოში არსებული ფინანსური კრიზისი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საბანკო სისტემებში. 3. კორპორაცია და მისი ეკონომიკურ პოლიტიკური ასპექტები 4. თვითმმართველობების სტრატეგიული მართვის გამოწვევების კვლევა საქართველოში. 5. დანაშაულის რეციდივის პრობლემა; 6. კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმები 7. სუროგაცია და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს კანონმდებლობაში 8. ინგლისური ფილოლოგია - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში, სოფო მორალიშვილი 9. ქართული ფილოლოგია - პედაგოგიური პრაქტიკის როლი სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებაში, ლელა ახალაია, თმარ კვარაცხელია. 10. ჟურნალისტიკა - მედიის კვლევა - რეიტინგი, ნატო ონიანი 11. საერთაშორისო ურთიერთობები - რუსეთ საქართველოს ურთიერთობები, გამოწვევები, პერსპექტივები, ზურაბ კვეტენაძე, ედიშერ გვენეტაძე 12. საერთაშორისო ურთიერთობები - საქართველო ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება, მათი ამირგულაშვილი, ქეთი ჯიჯეიშვილი
3.5	კვლევების საფუძველზე სახელმძღვანელოების მომზადება და მათი გამოცემა	სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი; სკოლა;	მიმდინარე
3.6	უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის მომზადება და პერიოდული გამოცემა	სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი; სკოლა;	გამოიცა უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.
3.7	კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსების ორგანიზება	კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი	საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგები როგორც სტუდენტებისათვის ასევე თანამშრომელთათვის

უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება/შეცვლა

გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	<p>ხარისხის მართვისა და სტრატეგიული გავითარების სამსახური ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; სკოლა; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური; საფინანსო სამსახური; ბიბლიოთეკა; პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური; სამეცნიერო- კვლევითი ცენტრი; კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი.</p>	<p>ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში მომზადდა ყველა სტრუქტურული ერთეულის, პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობით და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ თვითშეფასების კითხვარის სახით დადენილ ვადებში იქნა წარდგენილი სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (მაისი -ივნისი , 2015)</p>

4. უნივერსიტეტში სოციალური საკითხების სრულყოფა

გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
4.1 უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზრაურების გაზრდა	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზრაურება გაიზრდა
4.2 თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	გაუმჯობესდა თანამშრომელთა სამუშაო პირობები (საოფისე ავეჯის შეძენა, თანამშრომელთა წახალისება,
4.3 მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; სკოლა.	მაღალი რეიტინგის მქონე 10 სტუდენტს დაენიშნა სტიპენდია ;
4.4 სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსება ექსკურსიების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად უნივერსიტეტის ფინანსური გეგმის შესაბამისად	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	მოეწყო ექსკურსიები , დაფინანსდა სტუდენტური უნივერსიადის ფარგლებში მონაწილეობისათვის სპორტული გუნდები : ფუტზალში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, მკლავჭიდიში; უნივერსიტეტის მხიარულთა და საზრიანთა გუნდი; ფოლკლორული ანსამბლი.
4.5 სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა	კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობს ვაკანსიების მოძიება, მოლაპარაკებები პრაქტიკის ობიექტებთან სტაჟირების თაობაზე. კურსდამთავრებულთა სტაჟირების და დასაქმების პრობლით გაფირმდა მემორანდუმი „საქართველოს ბანკთან“.
4.6 სტუდენტებისათვის უფასო მგზავრობის, სერვისის გაუმჯობესება და გაფართოება	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა	სტუდენტებს ემსახურება უფასო ავტობუსი.

მართვის დეპარტამენტი;
საფინანსო სამსახური;

5. საჯარო ლექციები და უნივერსიტეტის სტუმრები

გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
5.1 მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	განხორციელდა სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ვიზიტი უნივერსიტეტში და საჯარო ლექცია;
5.2 მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	განხორციელდა ფინანსთა მინისტრის ვიზიტი უნივერსიტეტში და საჯარო ლექცია;
5.3 მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	განხორციელდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ვიზიტი უნივერსიტეტში და საჯარო ლექცია;
5.4 მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	განხორციელდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ვიზიტი უნივერსიტეტში და საჯარო ლექცია.